MES 8 22 0001001223

05/09/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, სხდომის მდივანი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენელი:

თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ცოდნა
მარინე ნადირაძე - დაწესებულების ხელმძღვანელი

შპს ინტელექტი
ნუგზარ ეხვაია - დაწესებულების ხელმძღვანელი

შპს ქართული სასწავლებელი - თბილისი

თამარ მინდაძე - ადმინისტრაციის წარმომადგენელი, ფინანსური მენეჯერი
თამარ ჭელიძე - ქართული ენის კათედრის ხელმძღვანელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):

შპს ცოდნა
ირმა ხუციშვილი
ლია გრიგოლია

შპს ინტელექტი
ლელა ფიცხელაური
ნანა ედიშერაშვილი

შპს ქართული სასწავლებელი - თბილისი
ლიანა კობესაშვილი
ნინო მუმლაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია და მისი დავალებით, სხდომის მდივნის ფუნქციების შესრულება დაეკისრა, საბჭოს წევრს, მაკა მამფორიას. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 22 აგვისტოს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და

დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ცოდნის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ინტელექტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ქართული სასწავლებელი - თბილისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს ცოდნის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ირმა ხუციშვილმა და ლია გრიგოლიამ. ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 20, 21 და 22 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ სამტრედიაში, ორსართულიან შენობაში. მისი განმარტებით, ვიზიტის მიმდინარეობისას, არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ გამოვლენილა ხარვეზები, თუმცა სკოლას მიეცა გარკვეული სახის რეკომენდაციები სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, რომლებიც, როგორც ვიზიტის მსვლელობისას, ასევე ცენტრში არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას იქნა სკოლის მიერ გათვალისწინებული.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას საავტორიზაციო განაცხადში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მითითებული ჰქონდა 300, თუმცა ვიზიტის პროცესში გამოიკვეთა მზაობა 180 მოსწავლის მიღებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, საავტორიზაციო ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 61 მოსწავლე.

ექსპერტის განმარტებით, სასკოლო სასწავლო გეგმა შეესაბამებოდა სკოლის მისიას და ეფუძნებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. მოსწავლეთა მცირერიცხოვნობიდან გამომდინარე, 2021 – 2022 სასწავლო წელს, მესამე - მეოთხე და მეთერთმეტე-მეთორმეტე კლასების მოსწავლეთათვის შექმნილი იყო კლას-კომპლექტები, სადაც სწავლება მიმდინარეობდა დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით, რაც, ერთგვარად, მოსწავლეებში ავითარებდა კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას. სკოლა იმედოვნებდა, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მომდევნო სასწავლო წლიდან, მოსწავლეთა რაოდენობა გაიზრდებოდა და სკოლაში აღარ დადგებოდა კლას-კომპლექტების არსებობის საჭიროება. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია ამოღებულ იქნა სკოლის 2022 – 2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტიდან.

ექსპერტ, ირმა ხუციშვილის განცხადებით, სკოლაში არსებობდა ბუნებრივი განათების მქონე 13 საკლასო ოთახი - აღჭურვილი შესაბამისი სასკოლო ინვენტარით.

პირველი რეკომენდაცია, რომელიც ვიზიტის მიმდინარეობისას გაიცა ექსპერტთა მხრიდან, ეხებოდა საკლასო ოთახებში ღია ტიპის ელექტრო ღუმელების არსებობას, რომლებიც სკოლის მიერ ჩანაცვლდა დახურული ტიპის ღუმელებით, რაც დადასტურებული იყო ჩუქების დოკუმენტაციით. სკოლამ ასევე მიიღო რეკომენდაცია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიასთან დაკავშირებით, რომელიც იყო მცირე ზომის და შეუძლებელს ხდიდა, მის, როგორც სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებას. სკოლამ ვიზიტის პერიოდში ლაბორატორია განათავსა პირველ სართულზე არსებულ მოზრდილ ოთახში, რომელსაც ჰქონდა ბუნებრივი განიავების საშუალება, ხოლო გამწოვის დამონტაჟების ამსახველი ფოტომასალა დაწესებულებამ წარმოადგინა ცენტრში არგუმენტირებული პოზიციის გამოგზავნისას.

ექსპერტის თქმით, სკოლას არ ჰქონდა სპორტული დარბაზი და სპორტის გაკვეთილები ტარდებოდა, როგორც 30 კვ. მეტრამდე სივრცის ოთახში, ასევე სკოლის ეზოშიც. სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან წარმოდგენილ იქნა სამტრედიის მერიისთვის მიმართული წერილი, გარკვეულ საათებში, მუნიციპალიტეტის სპორტული მოედნით სარგებლობის თაობაზე. ამის საფუძველზე, სკოლამ განახორციელა ცვლილება სასკოლო სასწავლო გეგმაში საგაკვეთილო ცხრილსა და სპორტის გაკვეთილებთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა შეეთავაზებინა სკოლას სპორტული აქტივობები მოსწავლეთათვის მუნიციპალიტეტის სპორტულ მოედანზე.

მორიგ რეკომენდაციასთან მიმართებით, სკოლამ განახორციელა სველ წერტილებში არსებული კაბინების კარების დამონტაჟება, რომლის ამსახველი ფოტომასალა ასევე წარმოადგინა არგუმენტირებულ პოზიციაზე თანდართვით. სკოლას ვიზიტის პროცესში არ ჰქონდა სათანადოდ აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი, რომელიც ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით მოეწყო კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო ექიმის ვაკანსიაზე სკოლამ გამოაცხადა კონკურსი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლას ჰქონდა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებული დოკუმენტი, თუმცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან საბოლოოდ შეთანხმებული წესი სკოლას მიღებული არ ჰქონდა. სკოლის წარმომადგენელმა აქვე აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 11 აგვისტოს სამინისტროდან სკოლამ მიიღო შეთანხმებული დოკუმენტი.

ექსპერტ, ირმა ხუციშვილის თქმით, სკოლაში დასაქმებული იყო 19 პედაგოგი, მათგან 9 უფროსისა და 9 მოწვეულის სტატუსის მქონე, ხოლო ერთი უსტატუსო მასწავლებლის პოზიციაზე სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია.

ექსპერტ, ირმა ხუციშვილის განმარტებით, სკოლაში სუფევდა ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობითი ატმოსფერო, რაც დასტურდებოდა მიზნობრივ ჯგუფებთან გასაუბრების პროცესში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რა მანძილის გავლა მოუწევდათ მოსწავლეებს მუნიციპალიტეტის მოედნამდე სპორტული აქტივობების განსახორციელებლად.
სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მერიაში, მიმდინარე წლის ივნისის თვეში გაგზავნილი იყო წერილი სპორტული მოედნით გარკვეულ საათებში სარგებლობასთან დაკავშირებით, თუმცა სკოლა აღნიშნული უწყებიდან ოფიციალური პასუხის მიღებას ელოდებოდა პირველი სექტემბრისთვის. მან განაცხადა, რომ მოკლე მანძილის გათვალისწინებით, მოსწავლეებს შეეძლებოდათ სპორტულ მოედნამდე ფეხით მისვლა.
საბჭოს წევრმა - ზვიად გოგუაძემ ითხოვა დაზუსტება დისტანციურ გაკვეთილებთან მიმართებით, რაზეც ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლაში, პანდემიის პერიოდში, სრულყოფილად მიმდინარეობდა საგაკვეთილო პროცესი ონლაინ ფორმატში და დამატებით, სკოლა იყენებდა TV – School - ის პლატფორმას.
საბჭოს წევრებმა, ზვიად გოგუაძემ და ეკატერინე კვირიკაშვილმა ყურადღება გაამახვილეს ელექტრო ღუმელების უსაფრთხოებაზე და კითხვით მიმართეს სკოლის წარმომადგენელს, ხომ არ იგეგმებოდა სკოლაში ცენტრალური გათბობის სისტემის დამონტაჟება.
სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, მიმდებარე ტერიტორიაზე არ იყო გაზის გაყვანილობის სისტემა და შესაბამისად, სკოლა ვერ შეძლებდა ცენტრალური გათბობით სარგებლობას. აღნიშნული საკითხი დამოკიდებული იყო მუნიციპალიტეტის მერიაზე.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კვლავ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რატომ არ უფორმებდა სკოლა 30 თვეზე მეტხანს დასაქმებულ პედაგოგებს უვადო ხელშეკრულებებს, რასაც შრომის კოდექსი მოითხოვდა.
სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მომავალში იგეგმებოდა მსგავსი ტიპის პედაგოგებთან უვადო ხელშეკრულებების გაფორმება.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ შეკითხვა დასვა კლას-კომპლექტებთან დაკავშირებით, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პანდემიის პერიოდში დისტანციურ რეჟიმში გადასვლამ, გამოიწვია მოსწავლეთა რაოდენობის გადინება, შესაბამისად, ზოგიერთ კლასში ირიცხებოდა მხოლოდ 3 ან 4 მოსწავლე და აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა კლასების შეერთება, რაც ასევე იყო მშობელთა მოთხოვნაც.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რატომ არ ჰქონდა სკოლას არჩეული სპორტის სახეობად კალათბურთი, რადგან ეზოში დამონტაჟებული იყო კალათბურთის ფარები. მან ასევე კითხვები დასვა შემაჯამებელ დავალებებთან დაკავშირებითაც და, აგრეთვე, ითხოვა განმარტება, ხომ არ ფლობდა შპს ცოდნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსსაც.
შემაჯამებელ დავალებებთან მიმართებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პროცესში, გადამოწმების შედეგად, სკოლამ წარმოადგინა, როგორც კომპლექსური, ასევე ტესტური ტიპის შემაჯამებელი დავალებები. რაც შეეხება კალათბურთის არჩევას სპორტის სახეობად, სკოლის წარმომადგენელმა განმარტა რომ, ის მცირე ზომის ფართი, რომელსაც სკოლა იყენებდა სპორტული აქტივობებისთვის, მიზანშეწონილი იყო მხოლოდ მაგიდის ჩოგბურთის გამოსაყენებლად. პროფესიული კოლეჯის სტატუსთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რამდენიმე წლის წინ სკოლა პარალელურად ახორციელებდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რის საფუძველზე ჰქონდა სკოლას მოლოდინი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა გაეზარდა 300 მოსწავლემდე, როდესაც ვიზიტის მიმდინარეობისას გამოვლინდა მზაობა 180 მოსწავლის მიღების თაობაზე.
სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული რაოდენობრივი მონაცემის ასახვა სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარში წარმოადგენდა ტექნიკურ ხარვეზს.
საბჭოს წევრი, პეტრე ბაბილუა დაინტერესდა, თუ როგორ ხდებოდა სკოლაში პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და შესაბამისი საჭიროებების გამოკვეთა. რაზეც ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა განაცხადა, რომ სკოლა ზრუნავდა პედაგოგების პროფესიულ ზრდაზე, რაც გამოიხატებოდა ერთმანეთისთვის გამოცდილების გაზიარებაში, ტრენინგებსა და ვებინარებში მონაწილეობასა და დაწესებულებაში დამკვიდრებულ ურთიერთთანამშრომლობით კულტურაში, თუმცა საჭირო იყო სკოლას ეზრუნა პერსონალის სხვა წევრების კარიერულ წინსვლაზეც.
საბჭოს თავმჯომარემ, დავით მალაზონიამ და საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა სკოლის წარმომადგენელს მიმართეს კითხვით, იმ შემთხვევაში, თუკი მერია არ დათანხმდებოდა სკოლას დღის პირველ ნახევარში განეხორციელებინა სპორტული აქტივობები და ამ პერიოდში შეეზღუდა ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის მოედნით სარგებლობის უფლება, შეეძლო თუ არა სკოლას სწავლის დაწყებამდე გამოეყო ალტერნატიული სივრცე სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად. დასმულ კითხვასთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლას ამ მიმართულებით ჰქონდა გარკვეული პოტენციალი.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ ყურადღება გაამახვილა სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროფილს, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ მას შემდეგ, რაც დაინერგა მოდულური პროფესიული პროგრამები, სკოლა აღნიშნულს აღარ ახორციელებდა და დაუყოვნებლივ წაშლიდა აღნიშნულ ინფორმაციას სკოლის ვებ გვერდიდან, რათა არ მომხდარიყო დაინტერესებული პირების შეცდომაში შეყვანა.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან საბჭოს წევრებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 180 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ცოდნის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 180 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“

ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ცოდნას (ს/კ: 238730931) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.
საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია. კერძოდ, 2022 წლის 15 სექტემბრამდე ცენტრში წარმოედგინა საბჭოს სხდომაზე მსჯელობის საგნად წარმოდგენილი საკითხების გათვალისწინების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, მხარი არ დაუჭირა შპს ცოდნის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს. მან განმარტა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებდა დადებით გადაწყვეტილებას, თუკი დაწესებულებაში დაინიშნებოდა მონიტორინგის ვიზიტი, რადგან მას სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნები არ მიაჩნდა დაკმაყოფილებულად.

2. შპს ინტელექტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ფიცხელაურმა და ნანა ედიშერაშვილმა.
ექსპერტ, ლელა ფიცხელაურის განცხადებით, საავტორიზაციო ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა მიმდინარე წლის 7 და 8 ივლისს, რომელიც მდებარეობდა სიღნაღის მუნიციპალიტეტ, სოფელ საქობოში, სამსართულიან შენობაში.
ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 123 მოსწავლე, დასაქმებული იყო 35 თანამშრომელი, მათგან 27 იყო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი. ლელა ფიცხელაურის თქმით, სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა სრულ შესაბამისობაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. ვიზიტის პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლას დაწყებული ჰქონდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში სუფევდა დაცულობის, კეთილგანწყობისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო. ექსპერტთა მხრიდან გაცემული რეკომენდაციის ნაწილი სკოლამ გაითვალისწინა ვიზიტის მიმდინარეობისას, ხოლო ნაწილზე კი მუშაობა დაიწყო დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ და გარკვეული მტკიცებულებები წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიციის ცენტრში გამოგზავნისას.
ექსპერტმა მცირე მიმოხილვა გააკეთა წინა ვიზიტის შესახებ და აღნიშნა, რომ 2018 წელს განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები და შენიშვნები სკოლას სრულად ჰქონდა გათვალისწინებული.
მატერიალური რესურსის სტანდარტთან მიმართებით სკოლას დაუდგინდა ხარვეზი, რომელთან დაკავშირებითაც მიიღო გარკვეული სახის რეკომენდაციები. სკოლას სახელმწიფო

სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურისგან მიღებული ჰქონდა მიწერილობა, რომლის შესრულების ვადები და მაჩვენებელი იყო დარღვეული, კერძოდ, დაწესებულებაში არ იყო დამონტაჟებული სახანძრო სიგნალიზაცია და საევაკუაციო მანიშნებლები, აგრეთვე ცეცხლმაქრები საჭიროებდა გადამუხტვას. აღნიშნული ხარვეზი სკოლის მიერ იქნა აღმოფხვრილი. ასევე, სკოლამ გაითვალისწინა საპირფარეშოს კაბინებში კარების დამონტაჟებისა და სპორტულ დარბაზში ფანჯრებზე დამცავი ბადეების გაკვრასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები.

მორიგი რეკომენდაცია ეხებოდა პერსონალთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებს და ბიბლიოთეკაში კომპიუტერის არსებობის მოთხოვნას, რაც ვიზიტის მსვლელობისას სკოლამ გაითვალისწინა და მიიღო მხედველობაში ორივე რეკომენდაცია. ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, გაძლიერებულიყო ტექნოლოგიური რესურსები, რაც მნიშვნელოვანი იყო 21-ე საუკუნის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

სკოლას თვითშეფასების მაძიებლის კითხვარის მიხედვით მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად დაფიქსირებული ჰქონდა 158, ექსპერტები აცხადებდნენ თანხმობას სკოლაში არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგაძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული იყო 160 როგორც ორადგილიანი, ასევე ინდივიდუალური მერხების საკლასო ოთახებში არსებობა. მან კითხვით მიმართა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ, თუ რამდენი ორადგილიანი მერხი იყო სკოლაში.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ უმეტესი ნაწილი მერხებისა იყო ერთადგილიანი, ხოლო ორადგილიანი მერხები ექსპერტებმა ჩათვალეს, როგორც ერთადგილიანი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა ექპერტებს, რამდენად ეფექტურად მიმდინარეობდა საბუნებისმეტყველო მიმართულებით მუშაობა და როგორ გადამოწმდა გადიოდნენ თუ არა მოსწავლეები ეროვნული სასწავლო გეგმით მოთხოვნილ შედეგებზე.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა ბიოლოგიისა და ფიზიკის კაბინეტი, შესაბამისი საგნის სტანდარტული ლაბორატორიული აღჭურვილობით, რომელიც განლაგებული იყო მომიჯნავე ოთახში. სკოლაში წარმოდგენილი იყო თვალსაჩინოებების სახით ჩატარებული მცირე კვლევები პროექტების სახით. ასევე ექპერტების მიერ, გადამოწმდა რეაქტივების შესყიდვის დოკუმენტაცია. გარკვეული რეაქტივები ახალი სასწავლო წლისთვის საჭიროებდა განახლებას. მოსწავლეები ინტერვიუირების დროს საუბრობდნენ განხორციელებული პროექტების შესახებ.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, სარგებლობდნენ თუ არა პედაგოგები კუთვნილი შვებულებით და ეძლეოდათ თუ არა მათ აღნიშნულ პერიოდში ანაზღაურება. აღნიშნულს სკოლის წარმომადგენელი დაეთანხმა.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ განმარტა, რომ სკოლის მისიის მეხუთე პუნქტი ითვალისწინებდა მოსწავლეებისთვის ყველა საგნის საფუძვლიანად სწავლებას და ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მომზადებას. მან მიმართა ექპერტებს, დაინახეს თუ არა მათ ვიზიტის განხორციელების პროცესში სხვა მიზნების არსებობა.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განმარტა, რომ ვიზიტის დროს დაწესებულებისგან მიღებულ იქნა განმარტება, რომ ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მშობლებისგან ნდობის მოპოვებისთვის, თუმცა არ იყო ერთადერთი მიზანი.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა ითხოვა განმარტება პედაგოგთა სტატუსების შესახებ, რაზეც ექპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ სკოლაში იყო 11 მოწვეული, 1 მაძიებელი და 15 უფროსი მასწავლებელი. ყველა უფროსი მასწავლებელი რეგისტრირებული იყო წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოპოვების გამოცდაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს განემარტათ, თუ რა მისია ჰქონდათ მათ სოფლისთვის და რას აკეთებდნენ ისინი თემისთვის, მათზე დადებითი გავლენის მოსახდენად. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათი მოსწავლეები ირიცხებოდნენ უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები ასევე ერთვებოდნენ შრომით საქმიანობაში, ზოგი კი საზღვარგარეთ აგრძელებდა სწავლას.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, თუ ჰქონდათ სათემო პროექტი განხორციელებული. სკოლის დირექტორმა, განმარტა, რომ ისინი ერთვებოდნენ დასუფთავების, ნერგების დარგვის, მოვლის პროექტებში და ხშირ შემთხვევაში თავად მოსწავლეები იყვნენ მსგავსი პროექტების ინიციატორები.
ექსპერტ, ლელა ფიცხელაურის განმარტებით მშობლებთან ინტერვიუირებისას აღინიშნა, რომ სკოლის დირექტორისგან დიდ მხარდაჭერას გრძნობდნენ.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ დაწესებულების წარმომადგენლებს, რჩევით მიმართა მასწავლებელთა პირადი ნომრები, რომლებიც საჯაროდ იყო გამოქვეყნებული ვებ-გვერდზე, ამოეღოთ.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა დაამატა, რომ ვებ-გვერდზე მეტი საჭირო ინფორმაცია განეთავსებინათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ დასკვნაში დაწესებულებას უფიქსირდებოდა ხარვეზი უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, კერძოდ ცეცხლმაქრები საჭიროებდნენ გადამუხტვას. ექპერტმა, ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ მათ მიიღეს სკოლის წერილობითი უკუკავშირი და გადარიცხვების საბუთები.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 158 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე დააყენა შუამდგომლობა საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღთან დაკავშირებით, კერძოდ, ვინაიდან დაწესებულებას ავტორიზაცია მინიჭებული ჰქონდა 2016 წლის 30 აგვისტოს და შესაბამისად, ვადა ეწურებოდა მიმდინარე წლის 30 აგვისტოს, სტატუსის უწყვეტობიდან გამომდინარე, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 30 აგვისტოს. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს დაწესებულების შუამდგომლობა.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინტელექტის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 158 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“

ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ინტელექტს (ს/კ: 240393409) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 158- ით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 30 აგვისტო. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

3. შპს ქართული სასწავლებელი - თბილისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს წევრებმა, ქეთევან ნატროშვილმა და ია გიგიბერიამ განაცხადეს, რომ განსახილველ საკითხთან მიმართებით ჰქონდათ თვითაცილება, რადგანაც დასაქმებულები იყვნენ აღნიშნულ დაწესებულებაში საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლიანა კობესაშვილმა და ნინო მუმლაძემ.
ექსპერტ, ლიანა კობესაშვილის განცხადებით, მიმდინარე წლის 12 და 13 ივლისს საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა შპს ქართულ სასწავლებელ - თბილისში და ყურადღება გაამახვილა დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკაზე. მისი თქმით, სკოლას ჰქონდა საავტორო პროგრამა, რომელიც გულისხმობდა მჭიდრო საგანთაშორის ინტეგრირებას; სკოლაში აქტიურად მიმდინარეობდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა; შემუშავებული ჰქონდა მატრიცები და შეფასების სოლო ტაქსონომიის რუბრიკები; სკოლაში ფუნქციონირებდა სამეცნიერო ცენტრი, რომლის ფარგლებშიც მუშავდებოდა სასწავლო მასალები, სახელმძღვანელოები და რესურსები; სკოლას ჰქონდა კარგად ორგანიზებული, ძლიერი არაფორმალური განათლება - საზაფხულო ბანაკები, სადაც მოსწავლეები არაფორმალურ გარემოში ეუფლებოდნენ ცოდნას და იმუშავებდნენ უნარ-ჩვევებს; სკოლა აქტიურად ამყარებდა ურთიერთობებს საერთაშორისო დონეზე. კერძოდ, სკოლა თანამშრომლობდა იაპონიის, ჩეხეთის და გერმანიის საელჩოებთან, ჩართული იყო გერმანიის საერთაშორისო პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც გასცემდა შპრახის დიპლომს; სკოლაში აქტიურად სტუმრობდნენ აღნიშნული ქვეყნის ელჩები და ადგილზე ეცნობოდნენ სასკოლო კულტურას, მიღწევებს და სკოლის საჭიროებებს.
ექსპერტ, ლიანა კობესაშვილის განმარტებით, სკოლას ვიზიტის პერიოდში ჰყავდა 416 მოსწავლე, ხოლო ავტორიზაციით მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 767 მოსწავლით.
წინა ავტორიზაციის დროს, 2016 წელს, ვიზიტის ფარგლებში გაცემული იქნა რეკომენდაციები, პროგრამულ სტანდარტთან მიმართებით. ადგილზე ვიზიტისას, ფაქტობრივი გარემოებების

გაცნობით, სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუირებით დადგინდა, რომ სკოლას გათვალიწინებული ჰქონდა წინა ვიზიტისას ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა აღნიშნა, რომ ქართულ სასწავლებელ-თბილისში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა საავტორო პროგრამით და განსხვავდებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი საათობრივი ბადისგან, შესაბამისად სკოლა სარგებლობდა ეროვნული სასწავლო გეგმის 56-ე მუხლით განსაზღვრულ საათობრივი ბადის მესამე მოდელით. დაწესებულებას საათობრივი ბადე შეთანხმებული ჰქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
დაწესებულებაში ყველა პირობა იყო მოსწავლეებისთვის პოზიტიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად, მათთვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ცოდნის შესაძენად და შესაბამისი უნარების გამოსამუშავებლად. ასევე სკოლას ჰქონდა მშობლებთან კომუნიკაცია, სასწავლო პროცესისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულებისა და ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები.
მატერიალურ რესურსთან მიმართებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის საკუთრებაში იყო ერთ მისამართზე (ერთ ეზოში) განთავსებული ორი ცალ-ცალკე მდგომი შენობა. ერთში სწავლობდნენ დაწყებითი საფეხურის, ხოლო მეორეში საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. ორივე შენობას ჰქონდა საევაკუაციო გასასვლელი.
სკოლის შიდა ეზოში იყო სპორტული მოედანი. სკოლის შიდა პერიმეტრი, შიდა ეზო და მიმდებარე ტერიტორია, სრულად კონტროლდებოდა ვიდეომეთვალყურეობის კამერებით.
ექსპერტის თქმით, სკოლის შიდა სივრცეში იყო მოძრავი პანდუსები. ვიზიტის პერიოდში, ადაპტირებული სველი წერტილი იყო მხოლოდ სკოლის ერთ შენობაში, ხოლო მეორე შენობაში მიმდინარეობდა მისი მოწყობა. ამ უკანასკნელის მოწყობა, სკოლის მიერ წარმოდგენილი, ფიზიკურ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, უნდა დასრულებულიყო 30 აგვისტოს.
ვიზიტის ფარგლებში, ექიმთან მიმართებით აღმოჩნდა, რომ ის პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებული იყო მიმდინარე წლის 24 ივნისს. სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია, რომელსაც ვადა გასული ჰქონდა 9 ივლისს. ვიზიტის პერიოდში სკოლას ვაკანსიის განცხადებები უკვე განხილული ჰქონდა და გეგმავდა გასაუბრებას. ლიანა კობესაშვილმა აქვე აღნიშნა, რომ დაწესებულებას არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოდგენილი ჰქონდა ინფორმაცია ექიმის აყვანის შესახებ. გარდა ამისა, სკოლას ჰქონდა კანონის შესაბამისად მოწყობილი ექიმის კაბინეტი.
სკოლას შემუშავებული ჰქონდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის და პირობების დოკუმენტი, რომელიც შეთანხმებული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. შეთანხმება გარკვეული დათქმით იყო, რაც დაწესებულებას გათვალისწინებული და ასახული ჰქონდა დოკუმენტში.
ექსპერტ, ლიანა კობესაშვილის განმარტებით, სკოლაში დასაქმებული იყო 108 თანამშრომელი, რომელთაგან 82 იყო მასწავლებელი. ყველა თანამშრომელთან გაფორმებული იყო კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები. სკოლაში იყო დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. ამის შესახებ აღნიშვნას აკეთებდნენ მოსწავლეები, მშობლები და მასწავლებლები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ მიმართა ექსპერტებს, რადგან სკოლას საკუთარი სახელმძღვანელოები ჰქონდა, რა პრინციპით იყო ისინი შემუშავებული და როგორ გადიოდა ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებზე.
ექპერტმა, ლიანა კობესაშვილმა განმარტა, რომ საგნები სკოლაში იყო ინტეგრირებული და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მთელი რიგი საგნები, სასწავლო ბადით განსაზღვრული არ იყო. მაგალითად, საგანი მე და საზოგადოება ინტეგრირებული იყო საქართველოს მცოდნეობაში, სამყაროსმცოდნეობასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში და

ა.შ. სკოლას სახელმძღვანელოები შეთანხმებული ჰქონდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა ექპერტებს, თუ რა პერსონალური დაცვის პოლიტიკა ჰქონდათ და რამდენად გაზიარებული იყო ის სასკოლო საზოგადოებასთან. ექპერტმა განმარტა, რომ ამის შესახებ ინფორმაცია მოცემული იყო ხელშეკრულებებში. ინტერვიუს დროს მშობლებთან და მასწავლებლებთან გამოიკვეთა, რომ ისინი იცნობდნენ პერსონალური მონაცემების დაცვის წესს. დაწესებულებას პირადი საქმეები შენახული ჰქონდა დაცულ კარადაში და მასზე წვდომა ყველას არ ეძლეოდა.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას, რატომ ირიცხებოდა სკოლაში განსაზღვრულ ზღვრულ რაოდენობაზე გაცილებით ნაკლები მოსწავლე.
სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ წინა ავტორიზაციის პერიოდში დაწესებულება ფუნქციონირებდა ორ მისამართზე. მოგვიანებით ფუნქციონირება დაიწყო მხოლოდ ერთ მისამართზე, რამაც გამოიწვია მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება. ასევე, პანდემიამაც იმოქმედა მოსწავლეთა გადინებაზე.
საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა მიმართა სკოლის წამომადგენლებს, რატომ ჰყავდა სკოლას დანიშნული ექიმი (რომელიც 24 ივნისს გათავისუფლდა), რომელიც დამატებით ასწავლიდა მუსიკას და იყო დამრიგებელი. სამივე პოზიციაზე ის იყო სრული განაკვეთით. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული პიროვნება სრულ განაკვეთზე მუშაობდა ექიმად. მისი სხვა პოზიციებზე დანიშვნა მოხდა მოგვიანებით. საბოლოოდ მან უარი თქვა ყველა პოზიციაზე და უპირატესობა მიანიჭა მუსიკის მასწავლებლობას. სკოლის მიერ ახალი ექიმი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იყო დანიშნული.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა ექპერტებს, თუ ვინ იყვნენ იმ განსხვავებული სახელმძღვანელოების ავტორები, რომლითაც მიმდინარეობდა სწავლება. ექსპერტ, ლიანა კობესაშვილის განმარტებით, აღნიშნულთან დაკავშირებით მუშაობდა სკოლის სამეცნიერო საბჭო. სკოლა თავისი ადამიანური რესურსით ქმნიდა მათ და დიდი წილი მათ შექმნაში მიუძღოდა სკოლის დირექტორს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 767 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე დააყენა შუამდგომლობა საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღთან დაკავშირებით, კერძოდ, ვინაიდან დაწესებულებას ავტორიზაცია მინიჭებული ჰქონდა 2016 წლის 12 სექტემბერს, შესაბამისად, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 12 სექტემბრიდან. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს დაწესებულების შუამდგომლობა.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართული სასწავლებელი - თბილისის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 767 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ქართულ სასწავლებელ - თბილისს(ს/კ: 404382752) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 767-ით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 12 სექტემბერი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:00 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
მამფორია მაკა